ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3999886

ნომერი: AR1605089

თარიღი : 31.05.2018

გაცემის თარიღი : 07.06.2018

გაცნობის თარიღი : 07.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზი გოგოლაშვილი პ/ნ 01019045204
- თბილისი ე.ბეჟანიშვილის I გას. N 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3972996 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 31

მაისს №AR1605089 განცხადებით მომართა ნიკოლოზ გოგოლაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3972996 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3972996 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ბელიაშვილის ქუჩა #22, შპს "დენმარკ ჰაუსი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.02.010.059) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3972996 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და ითხოვს მის გასწორებას. კერძოდ, ითხოვს კომერციული ფართობად 223.51 კვ.მ-ის ნაცვლად 262.73 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 10365.78 კვ.მ-ის ნაცვლად 10405.0-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3972996 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3972996 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 10405.0 კვ.მ, კომერციული ფართობი: 262.73 კვ. სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3972996 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3972996 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.